საიდ. 72436/03

IR 1159080

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №133-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „სიქსთი ინტერნეშენელ ს.ა.” (SIXTY INTERNATIONAL S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №133-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №792/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ENERGIE” (საიდ. №72436/03, IR 1159080) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №792/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი ნიშანი „ENERGIE“ მსგავსია კომპანიის „LANCOME PARFUMS ET BEAUTE Cie" სახელზე მე-3 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნისა „RENERGIE“| (რეგ. N3149, რეგ. თარ. 17/09/1996). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით და განსხვავდება მარტო ერთი ასოთი, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „სიქსთი ინტერნეშენელ ს.ა.” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ვინაიდან, დაპირისპირებული ნიშნები „ENERGIE“ და „RENERGIE“ თანაარსებობენ მრავალ ქვეყანაში, „ლანკომ პარფიუმ ე ბოტე & სიე“ არის მფლობელი საერთაშორისო რეგისტაციისა № 579701 „RENERGIE“ და აპელანტი არის ევროპის თანამეგობრობის რეგისტრაციების №004346326 და №010815629 მფლობელი, რაც ადასტურებს ნიშნების თანაარსებობას მაგ. ქვეყნებში: ავსტრია, ბულგარეთი, ბენელუქსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, ესპანეთი, უნგრეთი, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, შესაძლებელია დაპირისპირებულ ნიშნების თანაარსებობა საქართველოშიც და ნაკლებად შესაძლებელია მოხდეს ნიშნების

აღრევა მომხმარებლის მხრიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №792/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ENERGIE" (საიდ. №72436/03, IR 1159080) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ENERGIE" (საიდ. №72436/03 IR 1159080) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „RENERGIE" (რეგ. №3149) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად. ორივე ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. მსგავსია განცხადებული და დაპირისპირიბული სასაქონლო ნიშნების ჟღერადობა. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგოს "ენერჯი", ხოლო დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც "რენერჯი". დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან მხოლოდ ერთი თანხმოვნით („R"), რაც ნიშნებს განსხვავებულ ჟღერადობას არ ანიჭებს.

მსგავსია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი. როგორც განცხადებული, ისე დაპირიპირებული სასაქონლო ნიშანი ვრცელდება ჰიგიენურ და კოსმეტიკურ საშუალებებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ENERGIE" (საიდ. №72436/03, IR 1159080) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „სიქსთი ინტერნეშენელ ს.ა." (SIXTY INTERNATIONAL S.A.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №792/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი:

ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ს. მუჯირი
წევრები:	ს. დუმბაძე
	დ. ჭიჭინაძე